10.55804/TSU-ti-4/Karosanidze

უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართულსა და თურქულში
(შეპირისპირებითი ანალიზი)

WAYS OF EXPRESSING NEGATIVE CATEGORY IN GEORGIAN AND TURKISH
(CONTRASTIVE ANALYSIS)

თამარ ქაროსანიძე-ქირსაჩი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი

Tamar Karosanidze Kırsac Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi

https://orcid.org/0000-0002-4604-8267

საკვანძო სიტყვები: *უარყოფის კატეგორია, ენობრივი უნივერსალია, ქართული, თურქული*
Keywords: *category of negation, linguistic Universality, Georgian, Turkish*

ABSTRACT

The category of negation is a universal linguistic category that exists in different forms in all languages. The means of its expression are different. The category of negation has been thoroughly studied in Georgian, Georgian languages and dialects. The negative category is actively researched in Turkish as well. Both languages are distinguished by the variety and peculiarities of the means of expressing negation.

The aim of the work is to present the linguistic means of expressing negation in the Turkish language and to determine its similarities and differences with the Georgian language.

The functional-semantic microfield of negation is presented, in which the following levels are distinguished: morphological, lexical, derivational and syntactic (Zekalashvili, Abesadze 2016, p. 62). Based on the mentioned microfield, we compared two language rejection systems.

The comparative method is used in the research. The research was conducted based on the analysis of Georgian and Turkish languages. We think that the comparative analysis of languages that belong to different language groups is important from the point of view of establishing language universals.

Unlike Georgian, Turkish has a morphological sign expressing negation. Negative suffix "-mA":(1) yapma; ar gaaketo "don't do" (2) yapamam; ver gavaketeb "I cannot do" (Ergin 2013, p. 200). In Georgian, the negative particles "ar", "ver" are represented with the same function (Chumburidze, 1970, p. 41). It should also be noted here that the content nuanses of the negative particles "ar", "ver", "nu" in Turkish together with the negation sign "-mA" are expressed by different means, namely, through the modal verb and mood. In Georgian, negative category is expressed by negative pronouns and adverbs (Kurdadze 2015, p. 72). In the Turkish language, negative semantics can be conveyed with the participation of indefinite pronouns and adverbs.

უარყოფის ცნების შესწავლით დაინტერესებულია სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგი – ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ლოგიკა, ფილოსოფია. უარყოფის გრამატიკული კატეგორია ენათმეცნიერების კვლევის საგანია. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი, რომელშიც გამოყოფილია შემდეგი დონეები: მორფოლოგიური, ლექსიკური, დერივაციული და სინტაქსური (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, გვ. 62). აღნიშნულ მიკროველზე დაყრდნობით ერთმანეთს შევადარეთ ორი ენის ქართულისა და თურქულის უარყოფის სისტემა. ორი ენის შედარების შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის მსგავსება-განსხვავებები: როგორც ცნობილია, ქართულში უარყოფის კატეგორიის აღმნიშვნელი მორფოლოგიური მარკერი არ მოგვეპოვება. ქართულისგან განსხვავებით თურქულს აქვს უარყოფის გამომხატველი მორფოლოგიური ნიშანი. უარყოფის გამომხატველი სუფიქსი ***"-mA"***: yap***ma***- „არ გაკეთება", ol***ma***- „არ ყოფნა", bil***me***- „არ ცოდნა" (Ergin, 2013, გვ. 200). უარყოფის გამომხატველი სუფიქსი ***"-mA"***: წარმოდგენილია დღემდე მოღწეულ უძველეს თურქულ ტექსტებში, თანამედროვე თურქულსა და დიალექტებში. ეს სუფიქსი დაერთვის ზმნის ფუძეს და უარყოფითი ზმნიზედებისა და უარყოფითი ნაწილაკების ჩართვის გარეშე უარყოფის სემანტიკას სძენს წინადადებას. მიგვითითებს, რომ მოქმედება არ განხორციელებულა, არ ხორციელდება ან არ განხორციელდება. ***Hasta olmadım*** **„**ავად არ გავმხდარვარ**"**, ***kapı açılmıyor*** **„**კარი არ იღება**"**, ***düğüne gitmeyeceğiz*** **„**ქორწილში არ წავალთ**".** თურქულ ენაში მკაცრადაა განსაზღვრული უარყოფის გამომხატველი სუფიქსის ადგილი. იგი ყოველთვის დერივაციული სუფიქსის შემდეგ და ფლექსიური სუფიქსების წინ დგას. მისი ადგილის შენაცვლება შეუძლებელია (Banguoğlu, 2015, გვ. 412-

413). ამ სუფიქსის ფარდად ქართულში გვაქვს უარყოფითი ნაწილაკი **„არ“**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **„ვერ“, „ნუ“** უარყოფითი ნაწილაკების შინაარსობრივი ნიუანსები თურქულში ***„-mA“*** უარყოფის ნიშანთან ერთად სხვადასხვა საშუალებებითაა გამოხატული, კერძოდ, მოდალური ზმნისა და კილოს მეშვეობით. ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი. შესაძლებლობის უარყოფა ამგვარადაა წარმოდგენილი: ***AmA (/-(y)A+ Ø-/ + /-mA-/),*** სადაც-***(y)A***+ ზმნიზედის მაწარმოებელი სუფიქსია, Ø-/ ნულოვანი ნიშნით გამოხატულია ***u-*** შესაძლებლობის სემანტიკის გამომხატველი მოდალური ზმნა, -***mA*** უარყოფის გამომხატველი სუფიქსია (Kara, 2011, გვ. 1433): yap***ama***dım „ვერ გავაკეთე“, oku***yama***dım „ვერ წავიკითხე“, gel***eme***dim „ვერ მოვედი“. ***„ნუ“*** უარყოფითი ნაწილაკის შინაარსობრივი ნიუანსის ფარდად თურქულში შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მოდელი: უარყოფის გამომხატველი სუფიქსი „-mA“ + თხოვნითი კილო: ***gülmeyesin „ნუ გაიცინებ“, vermeyesin „ნუ მისცემ“*** (Ergin, 2013, გვ. 313).

თურქულში უარყოფის კატეგორია ერთნაირად არ გამოიხატება ყველა სიტყვისა თუ სიტუაციისთვის. უარყოფის სემანტიკის გამომხატველ სუფიქსსა და ლექსიკურ ერთეულებს აქვთ საკუთარი მახასიათებლები, განსაზღვრულია მათი გამოყენების არეალიც (İlhan, 2005, გვ. 271). უარყოფითი სუფიქსი შეიძლება შეგვხვდეს ყველა დროისა და კილოს ფორმასთან, თუმცა ის არ გამოიყენება ***“i-”*** მეშველ ზმნასთან. იგი არ გვხვდება ასევე არარსებობის, არქონის, არყოლის სემანტიკის გამომხატველ ფორმასთან. მსგავსი ვითარებაა ქართულშიც. უარყოფითი ნაწილაკების გამოყენებისას ქართულშიც გასათვალისწინებელია ზმნური გარემოცვა. უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“ არ გვხვდება ბრძანებითი კილოს ფორმებთან, „ნუ“ ნაწილაკი კი, პირიქით, ძირითადად სწორედ ბრძანებითი კილოს (აგრეთვე ნატვრითი კილოს) ფორმებთან გამოიყენება. „ნუ“ ნაწილაკი არ გვხვდება წყვეტილის მწკრივთან. აგრეთვე იშვიათია უწყვეტელთან, ხოლმეობითთან და კავშირებითის მწკრივებთან. „ვერ“ ნაწილაკი ვერ ეგუება ინვერსიული წყობის ზმნებს ვერც ერთ მწკრივში. რამდენიმე ზმნა, რომელიც უქონლობას აღნიშნავს, უარყოფით ნაწილაკთაგან მხოლოდ „არ“ ნაწილაკს იგუებს (ჭუმბურიძე, 1970, გვ. 42). ორ ენას შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ვაწყდებით ლექსიკურ დონეზე. თურქულ ენაში არსებობს უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი ქართულისაგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულები. როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქულში უარყოფის გამომხატველი სუფიქსი ***“-mA”*** დაერთვის ყველა სახის ზმნის ფუძეს გარდა ***“i-”*** მეშველი ზმნისა. ***“i-”*** მეშველი ზმნის უარყოფის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკური ერთეულია ***„değil“***: Yorgun ***değilim*** „დაღლილი არ ვარ“. (Korkmaz, 2014, გვ. 631). ***„Değil“*** გამოიყენება ასევე უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციით ზმნა-შემასმენელთან: ***Yazmış değilim „ah დამიწერია“*** (Korkmaz, 2014, გვ. 520). უარყოფის სემანტიკის გამომხატველია ***“yok”,*** რომლის ძირითადი ფუნქციაა არარსებობის, არქონის, არყოლის სემანტიკის გადმოცემა: ***Beni suçlamanın alemi yok „აზრი ah აქვს ჩემს დადანაშაულებას“*** (Banguoğlu, 2015, გვ. 566).

როგორც ცნობილია, მიგებითი ნაწილაკები ორ ჯგუფად იყოფა: დადასტურებითი და უარყოფითი. თურქულში უარყოფითი მიგებითი ნაწილაკის მნიშვნელობით ყველაზე ხშირად გამოიყენება არაბული წარმოშობის ნაწილაკი ***hayır „ahა“***: - Şarkıyı duyunca duygulandın galiba? „სიმღერა რომ მოისმინე, დასევდიანდი, მგონი“. – Hayır „არა“. გარდა ამისა, უარყოფითი მიგებითი ნაწილაკის ფუნქციით ხშირად ვხვდებით ლექსიკურ ერთეულს: ***yok „ahა“:*** -***Ateşi var mı çocuğun? „ბავშვს სიცხე აქვს?”– Yok „ahა“.*** უარყოფითი მიგებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება ასევე ***değil „ahა“,*** ეს უკანასკნელი გვხვდება წარსული დროის ფორმითაც: ***Paranı çalan o muydu? „ის იყო, ვინც ფული მოგპარა?“ -değildi ah იყო/ahა*** (Hirik 2014, გვ. 362). აღნიშნული ფუნქციითაა წარმოდგენილი ასევე შორისდებული ***cık*** „ნუ“: ***Akşam yemeğinde makarna da ister misin? „ვახშმად მაკარონიც გინდა?“ -cık „ნუ“*** (Sari, 2023, გვ. 614).

თურქულ ენაში უარყოფითი სემანტიკის გადმოცემა შესაძლებელია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების მონაწილეობით: ***Kimse „ვინმე“***: ***Bugün kimse evinde değil „დღეს სახლში „ვინმე“ ah ahის/დღეს სახლში ahავინ ah ahის“***[*] (Göksel, Kerslake, 2005, გვ. 271-280). თურქულ ენაში საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელები არ დასტურდება. უარყოფითი სემანტიკის ნაცვალსახელები ნაწარმოებია განუსაზღვრელობით ნაცვალსახელზე სპარსული წარმომავლობის უარყოფითი ზმნიზედის ***hiç „საერთოდ“ დართვით: Hiç+kimse „საერთოდ+ვინმე=ahავინ“: Şimdiye kadar buralara hiç kimse uğramadı „აქამდე აქ ahავის შემოუვლია“, hiç+biri „საერთოდ+ერთი=ahცერთი“: Bunu hiçbiri bilmiyordu „ეს ahცერთმა ah იცოდა“*** (Korkmaz, 2014, გვ. 417-418). ქართულში გარდა უარყოფითი ნაწილაკებისა, უარყოფას გამოხატავს უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. ქართულ ენაში უარყოფით ნაცვალსახელთა მოდელი ამგვარადაა წარმოდგენილი: უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ, რა): არავინ, ვერავინ, ნურავინ. დაერთვის სიტყვები: ფერი, ნაირი, ვითარი: არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი...(ქურდაძე და სხვ., 2016, გვ. 72). ქართული „ფერის“ ფარდად თურქულში გამოიყენება არაბული წარმოშობის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი: ***“Şey” - bir*** şey „არაფერი“. Ondan bir şey beklenmez „მისგან არაფერს უნდა ელოდო“. ქართულში უარყოფითი ზმნიზედები ასეა ნაწარმოები: უარყოფითი ნაწილაკი + ადგილის, დროის, ვითარების გამომხატველი ზმნიზედები: ***-საღ, -ჟოს, -ნაირად, -გზით: ahსაღ, ვეჰსაღ, ნუჰსაღ; ahასჟოს, ვეჰასჟოს, ნუჰას-***

ღროს; ახანაიხად, ვეხანაიხად ნუხანაიხად; ახასგზით, ვეხასგზით, ნუხასგზით (ქურდაძე და სხვ., 2022, გვ. 71). თურქულ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელების მსგავსად არ დასტურდება უარყოფითი ზმნიზედებიც. უარყოფითი ზმნიზედების წარმოება ხდება სპარსულ-თურქული შესიტყვების (Ergin, 2013, გვ. 257) ***hiç+bir „ახცეხთი“ მეშვეობით: hiçbir yer „ ახცეხთი ადგილი=ახსად“, hiçbir zaman „ახცეხთი ღრო=ახასღროს“, hiçbir şekilde „ახცეხთი ფორმით, გზით = ახასგზით“.*** უარყოფის სემანტიკის დერივაციული საშუალებები შინაარსობრივად დიდწილად მსგავსია ქართულსა და თურქულში. თუმცა ფორმობრივად თურქულში უფრო მრავალფეროვანი სურათია. თურქულ ენას მოეპოვება უარყოფითი მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი -***mAz***: ***utanmaz adam „უსიხცხვილო კაცი“***; ***inanilmaz hikaye „დაუჯერებელი ამბავი“*** (Banguoğlu, 2015, გვ. 270). კიდევ ერთი უარყოფა-უქონლობის გამომხატველი სუფიქსია ***+sIz***. იგი დაერთვის სახელის ფუძეს და აწარმოებს როგორც ზედსართავ სახელს, ასევე ზმნიზედას: ***Akılsız insan çok hata yapar „უჭკუო ადამიანი ბევრ შეცდომას უშვებს“, Onlar ekmeksiz dayanamaz „ისინი უპურობოდ ვერ ძლებენ“.*** თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ სუფიქსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილის აზრით, იგი უარყოფითი სუფიქსია, ნაწილი კი მას მხოლოდ უქონლობის სახელების მაწარმოებლად მიიჩნევს (Münir, 2007, გვ. 1173). ზემოთ ჩამოთვლილ თურქულ სუფიქსთა იდენტური სემანტიკის მატარებელია უარყოფა-უქონლობის უ- (უ-ო) პრეფიქს-სუფიქსი ქართულში. უ- პრეფიქსი უარყოფით სახელებს დამოუკიდებლად აწარმოებს, უქონლობის სახელებს კი – სუფიქსებთან ერთად (ქურდაძე და სხვ., 2022, გვ. 58). თურქულს ასევე მოეპოვება უარყოფითი ზმნიზედის მაწარმოებელი სუფიქსი „-***mAdAn***“***.*** იგი დაერთვის ყველა სახის ზმნის ფუძეს და მისგან აწარმოებს უარყოფით ზმნიზედას. აღნიშნული სუფიქსი წინადადებაში ორი ფუნქციით გამოიყენება: (1) ხაზს უსვამს იმას თუ როგორ არ უნდა შესრულდეს ზმნით გამოხატული მოქმედება: ***Düşünmeden konuşma „დაუფიქრებლად ნუ იღაპაპაკებ!“.*** (2) გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ შესრულდა ზმნით გამოხატული მოქმედება: ***Arkasına bakmadan gitti „უკან მოუხედავად წავიდა“*** (Korkmaz, 2003, გვ. 95). უარყოფითი ზმნიზედის მაწარმოებელი კიდევ ერთი სუფიქსია ***“maksızın”***: İşte böylece annemin yanından bir dakika ayırılmaksızın bütün bir yılımı konakta geçirmişim „აი ასე გავატარე სასახლეში მთელი ერთი წელი, ისე რომ დედაჩემს გვერდიდან ერთი წუთითაც კი არ მოვშორებივარ“ (Korkmaz, 2003, გვ. 870).

ორივე ენაში გვხვდება უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი სინტაქსური საშუალებები. თურქულში ***mI*** კითხვით აფიქსს აქვს უნარი უარყოფითი მიმართება მიანიჭოს წინადადებას, რომელსაც ერთვის. ასეთ შემთხვევაში კითხვითი აფიქსი უსწრებს ზმნა-შემასმენელს: ***Niçin kızıyorsun bunu ben mi yaptım. „ჰატომ ბჰაზდები. ეს მე გავაკეთე (თუ ჰა)***“. თურქულში არსებობს ასევე უარყოფის სემანტიკის შემცველი შემდეგი სინტაქსური კონსტრუქცია: ***„mi ki“ (კითხვითი აფიქსი + კავშირი): anahtar bende mi ki niçin bana soruyorsun „გასაღები მე მაქვს (თუ ჰა), მე ჰატომ მეკითხები?”*** ვფიქრობთ, ქართულში ***„თუ ჰა“*** კონსტრუქცია, სხვა სემანტიკურ ნიუანსებთან ერთად, უნდა მოიცავდეს უარყოფის სემანტიკასაც. თურქულში უარყოფითი სემანტიკის შემცველია ასევე კითხვითი ზმნიზედა ***hani***, რომლის ქართული შესატყვისია კითხვითი ნაწილაკი ***„აკი“***: ***Hani dün okulda buluşacaktık „აკი, გუშინ სკოლაში უნდა შევხვედჰოდით“ = dün okulda buluşmadık „გუშინ სკოლაში აჰ შევხვედჰიდვახთ“*** (Demirel, 2012, გვ. 52). სემანტიკურად იდენტურია თურქული ***ne...ne*** და ქართული არც...არც კავშირები: ***Ne beni ne seni gördü „ახც მე დავუნახივახ და ახც შენ“*** (Ergin, გვ. 354). ***Ne konuştular, ne de azıcık durup soluk aldılar „ახც უღაპაპაკიათ, ახც ერთი წუთით შეუსვენიათ და ამოესუნთქავთ*** (Korkmaz, გვ. 938). შინაარსობრივად მსგავსია ასევე უარყოფის სემანტიკის შემცველი სხვა კავშირებიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულისა და თურქულის უარყოფის გამოხატვის სისტემა. თუმცა განსხვავებებთან ერთად ვხვდებით ასევე მსგავსებებსაც, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას დერივაციულ და სინტაქსურ დონეზე. ამასთან, ორივე ენა გამოირჩევა უარყოფის სემანტიკის გამოხატვის მრავალფეროვნებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართულისგან განსხვავებით თურქულ ენაში უარყოფის გრამატიკული კატეგორია მარკირებულია, უარყოფის სემანტიკის გამოსახატად ქართულის მსგავსად თურქულიც ხშირად მიმართავს სხვადასხვა ენობრივ საშუალებას.

ლიტერატურა

ზექალაშვილი რ., აბესაძე მ. (2016). უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. წელიწდეული. ქუთაისი

ქურდაძე, რ., თვალთვაძე დ., ლომია, მ., მარგიანი, ქ., ზექალაშვილი, რ. (2016). უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში: ჟურნ. „ქართველოლოგი“ 25(10) გვ. 75-115

ქურდაძე, რ., ლომია, მ., მარგიანი, ქ., ჭუმბურიძე, ნ. (2022). მონოგრაფია „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“, თბილისი: „უნივერსალი“

ჭუმბურიძე,ზ., (1970). „უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი“: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N2, თბ. 1970, გვ. 41-46

Banguoğlu, T., (2015) Türkçenin Grameri, (10.bs.), Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları

Demirel, Ö., (2012). “YAPICA OLUMLU ANLAMCA OLUMSUZ CÜMLELER HAKKINDA BİR DEĞERLENDİRME”. Türk Dili ve Edebiyatı Dergisi, c. 34, sy. 34, ss. 43-57

ERGİN, M., (2013) Türk Dil Bilgisi, İstanbul: Bayrak Yayınları

ERTEN, M., (2007). “+sIz Eki Olumsuzluk Eki midir?” Turkish Studies/Türkoloji Araştırmaları, Volume 2/4 Fall 2007, s. 1168-1173

GÖKSEL, A.; KERSLAKE, C., (2005), Turkish: A Comprehensive Grammar, London and New York

Hirik, S., (2014). Kesinlik ve olumsuzluk ilişkisine kipsel yaklaşım. Turkish Studies, 9(12), 349- 367

İLHAN, N., (2005), “Türkçede Olumsuzluk”, Karaman Dil Kültür ve Sanat Dergisi, T.C. Karaman Valiliği Yayınları, TBBM Basımevi, Ankara, s. 271-279

Kara F., (2011) Turkish Studies - International Periodical For The Languages, literature and History of Turkish or Turkic Volume 6/1 Winter 2011, p. 1421-1438, TURKEY

Korkmaz, Z., (2014). Türkiye Türkçesi Grameri (Şekil Bilgisi), Ankara: TDK Yay.,

SARI, İ., (2023). Ayrı Bir Dil Kategorisi Olarak Ünlemler ve Türkçede Dil Dışı Türleri: <cık> Örneği. Türkiyat Mecmuası, 33(2), 597-624. https://doi.org/10.26650/iuturkiyat.1269207

[*]ამგვარი ფორმების გავლენას ვაწყდებით ქართული ენის აჭარულ დიალექტში: ვინმე არ იყო; ვთქვი, რომ იქ ვინმე აღარ იქნება; ვინმე ვერ გამომასწრობდა იქ (http://www.corpora.co/#/corpus).